

# როგორია 5. საიქიმო ცხოვრება?

ამ გაკვეთილში თქვენ შეისწავლით::

- რა ბულოდებით სიკვდილის უმოდებ?
- რას წარმოადგენს ჯეჯა და ჯოჯოკეთი?
- რაოდენად მნიშვნელოვანია თქვენი არჩევანი?
- როგორ შეიძლება ჯეჯაში მოხვედრა?

ნაწილი 1

---

## რა ბულოდებით სიკვდილის უმოდებ?

---

ჩვენი ღრობებითი თავშესაფარი

რა მოხდება, როდესაც თქვენ გარდაიცვლებით? როდესაც სული დატოვებს სხეულს? სხეული დარჩება აქ, რადგან იგი შექმნილია ამქვეყნიურ მოთხოვნილებათა შესაბამისად. გარდაცვალების შემდეგ ადამიანი ისევ სრულფასოვნად აზროვნებს.

თუ თქვენ იესო ქრისტე მიიღეთ როგორც მხსნელი, მაშინ მყისვე აღმოჩნდებით მასთან, ხოლო თუ უარყავით ღმრთისაგან შემოთავაზებული საუკუ-

ნოსიცოცხლე, მაშინ აღმოჩნდებით მის-  
გან შორს-ჯოჯოხეთად წოდებულ ად-  
გილზე, რომელიც გამზადებულია ბო-  
როტიისა და მისი მიმღევრებისათვის.



**ლუკა 16:22,23.** მოკვდა ის გლახაკი და  
ანგელოზებმა მიიყვანეს აბრაჰამის წი-  
ალში, მდიდარიც მოკვდა და დაასაფ-  
ლავეს და ჯოჯოხეთში, ტანჯვებში მყოფ-  
მა...

სხეულს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ,  
არ შეესაბამება ზეციურ გარემოს. არა-  
მედ იგი დროებითია, რომელიც მოცე-  
მული გვაქვს აქ, დედამიწაზე საცხოვ-  
რებლად. სიკვდილის შემდეგ ჩვენ ვტო-  
ვებთ სხეულს. ღმერთმა მოგვიმზადა  
ახალი სხეული, ახალი სახლი, რომე-  
ლიც შესაფერია მისი ახალი ქმნილები-  
სათვის.



**2 კორინთელთა 5:1.** რადგან ვიცით,  
რომ როცა დაინგრევა ეს ჩვენი მიწიერი  
სახლი-კარავი, ღმერთისაგან გვაქვს შე-  
ნობა ცაში, ხელთუქმნელი სახლი, საუ-  
კუნო.

## აღდგომა

იესო დაბრუნდება და შესაძლებელია  
ძალიან მალეც იმისათვის, ვინც ეკუთ-  
ვნის მას. ყველა, ვისაც მიღებული ექნე-  
ბა იესო ქრისტე, წამიერად შეიცვლება.  
ჩვენ მოგვეცემა მისი მსგავსი ახალი  
სხეული. მსგავსად შროშანის გაფურ-  
ჩქვნისა, ჩვენ აღვდგებით ახალ სხეულ-  
ში.

**იოანე 11:25.** იესომ უთხრა მას: მე ვარ  
აღდგომა და სიცოცხლე, ჩემი მორწმუ-  
ნე, რომ მოკვდეს კიდეც, გაცოცხლდება.

**1 კორინთელთა 15:42, 43.** ასევე მკვდრე-  
თით აღდგომაც: ითესება ხრწნით და  
აღდგება უხრწნელობით. ითესება დამ-  
ცირებით და აღდგება ღიღებით: ითე-  
სება უძლურებით და აღდგება ძალით.



**ფილიპელთა 3:20,21.** რამეთუ ჩვენი მო-  
ქალაქეობა ზეცაშია, საიდანაც ველით  
მაცხოვარ უფალ იესო ქრისტეს, რომე-  
ლიც ჩვენს დამცირებულ სხეულს გარ-  
დაქმნის თავისი ღიღების სხეულის მსგავ-  
სად.

**ისწავლეთ:**

**1 თესალონიკელთა 4:16,17.** იმიტომ, რომ  
თვითონ უფალი გადმოვიდა ციდან ბრძა-  
ნების სიტყვით, მთავარანგელოზის ხმით  
და ღმერთის ბუკით და უწინ ქრისტეში  
განსვენებულები აღდგებიან. შემდეგ ჩვენ,  
ცოცხლად დარჩენილები, მათთან ერ-  
თად ვიქნებით ზეატაცებულნი ღრუბ-  
ლებში, რათა ჰაერში შევეგებოთ უფალს  
და ამგვარად უფალთან ვიქნებით მარა-  
დის.

**სასამართლო მრისტუსი**

როგორც ღმერთის შვილები, ჩვენ გან-  
ვისჩებით ღედამიწაზე ჩადენილ ჩვენ საქ-  
მეთა შესაბამისად. ერთგულ მსახურთ  
მიეცემა ჯილდო. დაკისრებული პასუხის-  
მგებლობის შესაბამისად, ღმერთი მოგ-  
ვანიჭებს გარკვეულ უპირატესობას თა-  
ვის უკვდავ სამეფოში.



**2 კორინთელთა 5:9,10.** ამიტომ ვცდი-  
ლობთ კიდეც... მისთვის სასურველნი  
ვიყოთ, ვინაიდან ჩვენ ყველანი უნდა  
გამოვცხადდეთ ქრისტეს სამსჯავროს წი-  
ნაზე, რათა თითოეულმა მიიღოს იმის  
მიხედვით, რასაც სხეულის სიცოცხლის  
ღროს აკეთებდა-კეთილს თუ ბოროტს.

**ათასწლოვანი მეფობა**

ამ განსჯის შემდეგ იესო დაბრუნდება  
ღედამიწაზე თავის მიმდევართა თანხლე-

ბით, ხოლო ბოროტი შებოროტად იქნება ათასი წელი.

იესო დაადგენს თავის სამეფოს და უხელმძღვანელებს მსოფლიოს ათას შესანიშნავ წელს სიმშვიდეში და სიუხვეში. ღროის ამ მონაკვეთს ეწოდება ათასწლოვანი მეფობა. გარეული ცხოველებიც მშვიდობით იქნებიან ერთმანეთთან და ადამიანებთან.

**გამოცხადება 20:4.** ისინი გაცოცხლდნენ და მეფობდნენ ქრისტესთან ერთად ათას წელს.



**ესაია 11:6.** დადგება მგელი ცხვართან ერთად და ვეფხვი დაბანაკდება ციკანთან ერთად... და ჩვილი ბავშვი წაუძღვება მათ.

**ესაია 35:1,5,10.** მოიღვენს უდაბნო და ხრიოკი გაიხარებს ტრამალი და შრომანივით აყვავდება... მაშინ აეხილებათ თვალეზი ბრმებს და ყრუებს სასმენელნი გაეხსნებათ... საუკუნო სიხარული იქნება მათ თავზე, შვება და სიხარული ეწევა მათ.

## დაუხსნელთა აღდგომა და სასამართლო

ათასწლოვანი მეფობის, ქრისტესა და სატანის საბოლოო კონფლიქტის შედეგად, ეშმაკი ჩადებულ იქნება ცეცხლის ტბაში. შემდეგ მიცვალებულნი, რომლებმაც არ მიიღეს ღმრთის მიერ შემოთავაზებული დახსნა, აღსდგებიან სამსჯავროზე წარსადგომად. ბოროტის ყველა მიმდევარი მოთავსებული იქნება ეშმაკისათვის გამზადებულ ადგილზე.

**გამოცხადება: 20:11,12,15.** ვიხილე დიდი თეთრი ტახტი და ზედ მჯდომარე... და ვიხილე მკვდრები, დიდები და პატარები, რომლებიც ტახტის წინ იდგნენ,



და წიგნები გადაიშალნენ, და გადაიშალა სხვა წიგნი, რომელიც სიცოცხლის წიგნია; და გასამართლდნენ მკვდრები წიგნში დაწერილის მიხედვით მათი საქმეებისამებრ. და ვინც არ იპოვებოდა ჩაწერილი სიცოცხლის წიგნში, ცეცხლის ტბაში იქნა ჩაგდებული.

**მარადიული კალაქი**

მართლები (მისი შვილები, რომლებიც ცხოვრობდნენ მისთვის), მარად იხარებენ და დატკბებიან ყველაფერ იმით, რაც მოუშადა მათ ღმერთმა, ხოლო მისი დახსნის უგულვებელმყოფნი საუკუნოდ იქნებიან მოკვეთილნი ღმერთისაგან.



მათე 25:46. და წავლენ ესენი საუკუნო სატანჯველს, ხოლო მართალნი საუკუნო ცხოვრებაში.

**დავალება**

ჩასვით საქირო სიტყვა

- სიკვდილის შემდეგ სული \_\_\_\_\_ (აზროვნებს, ვერ აზროვნებს)
- ის ვინც უარყოფს ღმერთის მიერ გამოგზავნილი დახსნის გეგმას გადავლენ \_\_\_\_\_ (ზეცაში, ჯოჯოხეთში)

**ნაწილი 2**

**რას წარმოადგენს ზევს და ჯოჯოხეთი?**

ამ ორი ადგილიდან, ერთ-ერთი თქვენი საუკუნო სახლი იქნება: ზეცა ან ჯოჯობეთი. სიტყვა ჯოჯობეთი აღიწერება როგორც წამების ადგილი და ცეცხლოვანი ტბა.

### ჯოჯობათი

ბანაკათა ლავრთისა-  
ბან

მათე 25:41. წაღით ჩემ-  
ვან წყეულნო, საუკუ-  
ნო ცეცხლში.

### ზავა

ღვთის საბანში

იოანე: 14:2. მამაჩემის სახ-  
ლში ბევრი სავანეა... მე  
მივდივარ რათა ადგილი მო-  
ვიმზადოთ.

გამოცხადება 21:3. აი  
ღმერთის კარავი აღამი-  
ანებთან და ის დამკვიდრდე-  
ბა მათთან.

ყოველივე კეთილი ჩამოდის ღვთისაგან. მასთან ახლოს, ნათელი სიცოცხლე, მშვენიერება და სიხარული. მისგან მოკვეთილი აღამიანი იმყოფება სიბნელეში, მწუხარებაში და გლოვაში.

### ჯოჯობათი

ბანჯავა

ლუკა 16:23,24. და ჯო-  
ჯობეთში, ტანჯვებში  
მყოფმა... შესძახა...  
ვიტანჯები ამ ალში  
მათე 25:30. ხოლო ეს  
უვარვისი მონა ვადა-  
აგდეთ გარესკნელის  
სიბნელეში. იქ იქნება  
მოთქმა და კბილთა  
ღრჭენა.

გამოცხადება 20:10. და  
ღაიტანჯებიან დღე და  
ღამე უკუნით უკუნი-  
სამღე.

### ზავა

მარადიული და სრულ-  
ყოფილი სიხარული

გამოცხადება 21:10, 11, 16,  
17. წმინდა ქალაქი, იერუ-  
სალიმი... მას აქვს ღმერ-  
თის დიდება... გაზომა მან  
ქალაქი ლერწმით თორმე-  
ტი ათასი სტადიონი (2400  
კმ); მისი სიგრძე, სიმაღლე  
და სივანე თანაბარია... და  
ქალაქი წმინდა ოქრო.

გამოცხადება 22:5. ღამე  
ალარ იქნება... ვინაიდან  
უფალი ღმერთი გაუნა-  
თებს მათ და იმეფებენ

უკუნითი უკუნისამდე.

**გამოცხადება 21:4.** და მოსწმენდს ყოველგვარ ცრემლს მათი თვალებიდან და აღარ იქნება სიკვდილი; გლოვა, გოდება და ტკივილიც აღარ იქნება.

მოდით წარმოვიდგინოთ, როგორი მეზობლები გვეყოლება, როდესაც მოვხვდებით საიქიოს.

### ჯოჯოხათი

მათე 25:41. წადით ჩემგან წყეულნო, საუკუნო ცეცხლში, რომელიც გამზადებულია ეშმაკისა და მისი ანგელოზებისათვის.

**გამოცხადება 21:8.** ხოლო მშიშრებისა და ურწმუნოების, შებილწულებისა და მკვლელებისა და გრძნეულების, კერპთაყვანისმცემლებისა და ყველა ცრუს მათი ხვედრი ტბაშია, რომელიც იწვის ცეცხლითა და გოვირდით.

### ზავა

იოანე 14:3. როდესაც წავალ და აღვიღს მოგიშალებთ, ისევ მოვალ და ჩემთან წავიყვანთ, რათა, სადაც მე ვარ, იყოთ თქვენც.

**ებრაელთა 12:22,23.** არამედ მიხვედით... ცოცხალი ღმერთის ქალაქთან ზეციურ იერუსალიმთან და აურაცხელ ანგელოზებთან... და ყველას მოსამართლე ღმერთთან, და სრულყოფილ მართალთა სულელებთან.

### ღავალაბა

დაწერეთ „არა“ ზემოთხსენიებულ ყველა იმ წინადადების წინ, რომელიც არ გასურთ რომ აღსრულდეს თქვენზე, ხოლო „დიახ“ იმ წინადადებათა წინ-რომელიც გასურთ რომ აღსრულდეს.

### ნაწილი 3

**რამდენად მნიშვნელოვანია თქვენი არჩევანი?**

ნუ დაადანაშაულებთ ღმერთს, თითქოს ის გგზავნიდეთ ჯოჯოხეთში. მას ყველას გადარჩენა სურს, მაგრამ თითოეულმა ინდივიდიალურად თვით უნდა გააკეთოს არჩევანი ზეცასა და ჯოჯოხეთს შორის.



**მეორე რჯული 30:19,20.** *სიცოცხლე და სიკვდილი დაგიდევნი წინ... აირჩიე სიცოცხლე... ზიყვარდეს უფალი, ღმერთი შენი, გესმოდეს მისი სიტყვა და მიეწებო მას.*

თქვენს არჩევანს ჯოჯოხეთსა და ზეცას შორის შეიძლება მიბაძონ სხვებმაც. იფიქრეთ თქვენს ოჯახზე და მეგობრებზე. საითკენ აპირებთ მათ წაყვანას?

### დავალება

● მაღლობა ღმერთს იესოსათვის, რომელმაც გამოგზავნა ჩვენს გადასარჩენად. ილოცეთ თქვენი ოჯახის ყველა წევრისათვის ან მეგობრებისათვის, რომლებიც ჯოჯოხეთსაკენ მიმავალ გზას ადგანან. შეევედრეთ მას, რომ დაგეხმაროთ რათა გააფრთხილოთ ისინი და შეძლოთ მხსნელთან მიყვანა.

### ნაწილი 4

#### როგორ შეიძლება ზეცაში მოხვედრა?

თუ გსურთ, რომ სხვები მიიყვანოთ ზეციურ სავანეში, უპირველესად დარწმუნდით, რომ თქვენ უკვე გავლილი გაქვთ ეს საფეხური. ამის შემდეგ დაეხმარეთ საკუთარ მეგობრებს.

#### ჩამოშორდით არასწორ გზას

ჩვენ ყველა ვადექით ცოდვილ გზას, რომლის ბოლო ჯოჯოხეთია, რის შე-



დეგადაც სულ უფრო ვცილდებოდით ღმერთს. შემდეგ ჩვენ ზურგი შევაქციეთ ცოდვას, რათა დავმორჩილებოდით ღმერთს და გვევლო მისი გზებით, ამასთან ერთად ვთხოვდით შენდობას ჩვენი დაუმორჩილებლობის გამო. ასეთი მონაწილეობა, ზეცისაკენ მიმავალი კიბის საფეხურის გავლას ნიშნავს.

ჩვენ უნდა ვაღიაროთ საკუთარი არასწორი მოქმედება მასთან, ვის მიმართაც ჩავიდინეთ იგი და ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ მის გამოსასწორებლად. უნდა შევეუბნოთ ჩვენს მტრებს და მშვიდობით ვიყოთ ყველასთან, ვისთანაც კონფლიქტი მოგვიხდა-უნდა შევეურიგდეთ მათ. საჭიროა დავაბრუნოთ მოპარული. საჭიროა ყველა ეს ცოდვა ვაღიაროთ ღმერთის წინაშე. ის შეგვინდობს და დაგვეხმარება ყველაფერში, რის გაკეთებასაც ვსაჭიროებთ.

## ისწავლეთ

1 იოანე 1:9. თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის, ერთგული და მართალი, მოგვიტევენ ცოდვებს და გაგვწმენდს ყოველგვარი უმართლობისაგან.

2 პეტრე 3:9. და არ აყოვნებს უფალი აღთქმულს, ზოგიერთებს რომ დაყოვნებულ მიაჩნიათ, არამედ სრულგრძელია თქვენდამი, და არ უნდა, რომ ვინმე დაიღუპოს, არამედ რომ ყველა მივიდეს მოსაწინიებლად.



## იკოვეთ სწორი გზა

ღმერთმა მოგვცა გზის მაჩვენებელი-ბიბლია. მასში ნათქვამია, რომ იესო ქრისტე არის გზა. იარეთ ამ გზაზე.

## ისწავლეთ

იოანე 14:6,6:37. იესომ უთხრა: მე ვარ გზა, ქეშმარიტება და სიცოცხლე. მამას-

თან ვერავინ მივა, თუ არა ჩემს მიერ.  
ჩემთან მოსულს არ ვაგაძევებ გარეთ.

---

## აირჩიეთ სწორი გზა

ეს ნიშნავს მიიღოთ იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, როგორც პირადად თქვენი მხსნელი და ცხოვრების უფალი. გწამდეთ, რომ ის მიგიღებთ თქვენ, ამიტომ მიენდეთ მას.

---

### ისწავლეთ:

**საქმე მოციქულთა 16:31.** ხოლო მათ უთხრეს: იწამე უფალი იესო და გადარჩები შენც და მთელი შენი სახლეულობაც.

**იოანე მოციქულთა 29:31.** ეს კი დაიწერა, რათა იწამოთ, რომ იესო არის ქრისტე, ძე ღმრთისა, და რათა მორწმუნეებს გქონდეთ სიცოცხლე მისი სახელით.



## ბოლომდე მისდით მუშაობის გზას

გაჰყევით იესოს ცხოვრების ბოლომდე. ის დაგმოდღვრავთ და დაგეზმარებათ ბიბლიის შესწავლაში, აგრეთვე გიპასუხებთ ლოცვებზე.

**1 პეტრე 2:25.** რამეთუ ცხვრებივით იყავით ვზააბნეულნი და ახლა დაუბრუნდით მწყემსს და თქვენს სულთა დამცველს.

## დავალება

გაკვეთილის ამ ნაწილში, გზა ზეცისაკენ აღწერილია, როგორც მოგზაურობა.

● პირადად თქვენ თუ გაიარეთ ზეცისაკენ მიმავალი ეს საფეხური?

---

თუ არა, მზად ხართ იგი გაიაროთ?

---

● იპოვეთ მეგობარი ან ოჯახის წევრი და აუხსენით ზეცაში მიმავალი ამ საფეხურის შესახებ.

---

---

გილოცავთ მეხუთე გაკვეთილის დამთავრებას. ახლა უპასუხეთ კითხვებს განყოფილებაში „პასუხებისათვის“. მეექვსე გაკვეთილის წარმატებით დამთავრების შემდეგ ჩვენ გამოგიგზავნით მოწმობას.

დაეღმერთმა უხვად გაკუროთხოთ.

---

---

